

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომის

ოქმი № 39

ქ. მცხეთა. 14. 00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - გოჩა ლაბაური, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები.

დღის წესრიგი:

საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხრანის ტერიტორიაზე შპს „ვექტრუმ 2015“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 72.09.26.092; 72.09.26.093; 72.09.26.094.) „გვერდებზე მსხმოიარე კაკლის ბაღის განაშენიანების პროექტის ფარგლებში“ კაკლის გადამამუშავებელი ქარხნის“ მშენებლობისათვის „დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 ოქტომბრის მომართვით (№ 08/2/3715) წარმოდგენილი პროექტი განხილვა.

/ მომხს. გოჩა ლაბაური /

მოისმინეს წარმოდგენილი საკითხი :

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „ვექტრუმ 2015“-ის 100%-იანი მესაკუთრის დავით ისახანაშვილის განცხადების (№3750 25.10.16წ.) საფუძველზე, გამგეობის მომართვით (№08/2/3715 25.10.16წ.) დასამტკიცებლად წარმოდგენილია პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხრანის ტერიტორიაზე შპს „ვექტრუმ 2015“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 72.09.26.092; 72.09.26.093; 72.09.26.094.) „გვერდებზე მსხმოიარე კაკლის ბაღის განაშენიანების პროექტის ფარგლებში“ კაკლის გადამამუშავებელი ქარხნის“ მშენებლობისათვის „დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“. კომისიამ განიხილა წარმოდგენილი მასალები: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის სამსახურის განმარტებითი ბარათი და განხილვის ოქმი, შეთანხმება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების